

# მცენარემ, რომედსაც ადამიანები ძრიერ ანადგურებენ, ჩვენგან დასამადად ფერი შეიცვადა



ჩინეთში, ხუანდუანშანის მთების ვრცელ, ღია კართებზე ერთი უცნაური ყვავილი ხარობს. ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში ეს უიშვიათესი აღზური ყვავილი ღიდად ფასობს და უკვე ათასობით წერიწადია, ადამიანები მას გამადრებით ანადგურებენ; ამიტომ,

**მცენარემ მათგან დამადვა გადანყვიტა.**

აღზურ მდერღებზე, სადაც ადამიანები ყვერამე ხშირად გრეჯენ მცენარე *Fritillaria delavayi*-ს, მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ეს მრავადწლოვანი მცენარე კდღოვან ფონს ვიზუარურად უკეთესად შეერწყა. ძნერია, ყურადღება არ მიიქციო მოყავისფრო-მონაცრისფრო გარემოში, რომედსაც კაშკაშა მწვანე ფოთრები და ყვავიღები გაქვს; ამიტომ, *F. delavayi*-ს ზოგიერთი პოპურაცია უფრო ყავისფერი და ნაცრისფერი გახდა, რათა უკეთ შერწყმოდა გარშემო გაბატონებუღ ფერებს.

ასე შენიღბვის უნარი ბევრ მცენარეს აქვს, ძირითადად იმისათვის, რომ მშიერ მტაცებრებს დაემადოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ერთადერთი რეადური მტაცებერი ჩვენ, ადამიანები ვართ.

*„ვფიქრობდით, რომ ჩვენ მიერ შესწავრილი სხვა შენიღბური მცენარეების მსგავსად, ამ დვინას (Fritillaria) შენიღბვის ევოლუცია ბადახისმჭამერებმა გამოიწვიეს, მაგრამ ჩვენ ასეთი ცხოვერი ვერ ვიპოვეთ. ამის შემდგე მივხვდით, რომ ამის მიზეზი ადამიანები უნდა ვიყოთ“*, – განმარტავს ქადრექ კუნმინის ბოტანიკის ინსტიტუტის ბოტანიკოსი იანგ ნიუ.

რეგიონის ადგილობრივ მოსახრეობასთან გასაუბრების შემდგე, მკვრევრებმა შეათასეს, როგორ აგროვებდნენ ამ აღზური მცენარის

თითოეულ ხედმისაწვდომ პოპულაციას გასული ხუთი წლის განმავლობაში.



ადამიანის მხედველობის მოდერის გამოყენებით, მკვლევრებმა მცენარის პოპულაციებში ფერების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება აღმოაჩინეს, განსაკუთრებით იმათში, რომლებიც ადამიანთათვის მისაღვამ ზონებში იყო გავრცელებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანთა ქცევა გარკვეულწილად მოქმედებს ამ სახეგანთქმული მცენარის ევოლუციაზე, რომელსაც ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში ფართოდ იყენებენ [ხვედების სამკურნალოდ](#).

*F. delavayi*-ს აქვს ფოთლების წყება, რომელთა ფერებიც ნაცრისფერიდან ყავისფერში გადადის, მაგრამ მხოლოდ მეხუთნ წელს უვითარდება იგივე ფერის წრიური ყვავილები. მხოლოდ ერთი კილოგრამი წამლის დასამზადებლად 3500 ცარი ყვავილია საჭირო.

სწორედ ასეთი წერი ბრდის გამოა ეს უიშვიათესი მცენარე ასე ძვირფასი, მაგრამ ამავე დროს ძარიან მოწყვლადი და განადგურების ობიექტი. ადამიანთა მხრიდან მასზე ნადირობის საპასუხოდ ფერის შეცვლა სავარაუდოდ ამ მცენარის თავდაცვის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა. შესაბამისად, რაც უფრო მეტად გვსურს ის, მით უფრო რთულდება მისი პოვნა.

იმისათვის, რათა მცენარის შენიღბულობა დამატებით გაეტესტათ ადამიანის მხედველობით, მკვლევრებმა კომპიუტერული ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელში მონაწილეებსაც ბუნებრივ გარემოში, მთების 14 კარტაზე სხვადასხვა ფერის ამ მცენარის პოვნა სთხოვეს.

როგორც მოსალოდნელიც იყო, გაჭირდა უფრო შენიღბული და ნაკლებად მწვანე მცენარეების სწრაფად პოვნა.

„მნიშვნელოვანია იმის დანახვა, როგორი პირდაპირი და დრამატული გავრენა აქვთ ადამიანებს ვერჯერ ორგანიზმთა შეფერილობაზე, არა მხოლოდ მათ გადარჩენაზე, არამედ ევოლუციაზეც“, – ამბობს ექსპერტის უნივერსიტეტის ბოტანიკოსი და ევოლუციური მარტინ სტივენსი.

მისივე თქმით, შესაძლებელია, რომ ადამიანებმა თავდაცვითი სტრატეგიების ევოლუცია სხვა მცენარეებშიც გამოიწვიეს, მაგრამ ამ მხრივ ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული.

ამ რამდენიმე მაგალითს შორის არის უიშვიათესი თოვლის დოტოსი (*Saussurea laniceps*), რომელსაც ადამიანები უხსოვარი დროიდან კრეფენ. [კვლევებმა](#) აჩვენა, რომ ეს სასურველი მცენარე ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში უფრო პატარა იზრდება.

*F. delavayi*-ისა და ადამიანთათვის სასურველი სხვა ასეთი ვერჯერ მცენარეების სამომავლო კვლევები აღბათ უკეთეს წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, მცენარეთა ბიოლოგიის რა ასპექტებზე გვაქვს ადამიანებს რეალური გავრენა.

კვლევა ჟურნალ [Current Biology](#)-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია [exeter.ac.uk](#)-ისა და [ScienceAlert](#)-ის მიხედვით.